

„კორონომიკა“ - ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევა

ანოტაცია: კორონავირუსი მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი თავსატეხი და გამოწვევაა; შესაბამისად, დგება აუცილებლობა შეიქმნას უფრო მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მოქნილი იქნება არაეკონომიკური ტიპის კრიზისული საფრთხეების გადასაჭრელად; საჭიროა უფრო სერიოზულად დავფიქრდეთ არაეკონომიკის წიაღიდან წარმოშობილ პრობლემებზე, თუმცა, სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ეკონომიკა და სოციალური სფერო განუყოფელია ერთმანეთისგან. მსოფლიო მომსწრეა არაერთი პანდემიის, შესაბამისად, თუ გადავხედავთ მათ შედეგებს, ვნახავთ, რომ მეცნერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შედეგად სულ უფრო მცირდებოდა საზოგადოების ცხოვრებაზე მათი ნეგატიური გავლენა; დღეს მედიცინა და ეკონომიკური მეცნიერება ერთად აღმოჩნდა ბრძოლაში ამ საერთო მტრის წინაშე, რამდენადაც მათი მიზანი საერთო-ადამიანთა კეთილდღეობა, ეს უკანასკნელი კი უპირველესად ადამიანის ჯანმრთელობას უკავშირდება და მერე სხვას; იმედია, ეს მწარე გამოცდილება უფრო დააფიქრებს საზოგადოებას იმაზე, რომ ჯანმრთელი საზოგადოება ყველაზე დიდი სიმდიდრეა; პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა რისკების დივერსიფიკაცია და ამ მიზნით ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესაბამისი ცვლილება; ეს შეამსუბუქებს საზოგადოების ცხოვრებაზე კრიზისებისა თუ პანდემიების გავლენას. მსოფლიო ისე, როგორც არასდროს, დღეს უფრო ერთიანია საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და რეცეპტებიც ამ პოლიტიკის შემუშავებისთვის ძირითადად მსგავსია; გადახედვას საჭიროებს საკითხი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზომის, მასშტაბების, ფორმებისა თუ საზღვრების შესახებ;

საკვანძო სიტყვები: *პანდემია; რისკების დივერსიფიკაცია; კორონომიკა, კრიზისების თეორია; ჯანსაღი საზოგადოება, არაეკონომიკური კრიზისები; ეკონომიკური პოლიტიკა;*

Coronomics - The challenge of the economic policy

Annotation: Coronavirus is an important puzzle and challenge in the modern world economy; Accordingly, it is necessary to develop a more flexible economic policy, which will be flexible in dealing with noneconomic crisis threats; However we need to think more seriously about the problems arising from the entrails of the noneconomy. We are increasingly convinced that the economy and the social sphere are inseparable. The world is witnessing many pandemics, so if we look at their results, we will see that as a result of the development of science and technology, their negative impact on the life of society is diminishing; Today medicine and economic science have found themselves in the fight against this common enemy, since their common goal is human well-being, the latter concerns first human health and then others; Hopefully this bitter experience will make the public think more about the fact that a healthy community is the greatest asset; The pandemic has shown to us the diversification of risks once again and for this purpose the corresponding change in the sectoral structure of the economy; This will alleviate the impact of crises or pandemics on public life. The world, is more united against a common enemy today, as never before and the recipes for this policy are similar; The issue of the size, scale, forms or boundaries of state intervention in the economy needs to be reconsidered;

Key words: *The pandemic, diversification of risks, Coronomics, theory of crisis, healthy community, noneconomic crisis, economic policy;*

გლობალიზაცია თავისი სიკეთეებითა თუ წინააღმდეგობებით საზოგადოების განვითარების გარდაუვალი პროცესია; საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარება ვერ ექცევა ეროვნულ ჩარჩოებში და წარმოშობს საერთო ტიპის მიღწევებს და პრობლემებს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში; ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყანა არ არის დაზღვეული კრიზისული მოვლენებისგან, ასევე მსოფლიო

ეკონომიკა პერიოდულად დგება საერთო გლობალური გამოწვევების წინაშე. ქვეყნების საზრუნავია, რომ რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ გლობალიზაციის მიღწევები და მინიმუმამდე დაიყვანონ მასთან დაკავშირებული რისკები; მსოფლიოს გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც სცდება ერთი ქვეყნის მიერ მათი გადაწყვეტის შესაძლებლობას, იცვლიან თავიანთი მნიშვნელობით რიგითობას და წინა პლანზე დგება ახალი ტიპის გლობალური საფრთხეები, რომელიც მოჰყვება განვითარების უფრო მაღალ საფეხურს. თუ მსოფლიოს გლობალურ პრობლემებში პირველ ადგილზე მოიაზრებოდა ომების საფრთხე და შემდეგ კაცობრიობის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, დღეს, როგორც რეალობამ გვიჩვენა, მსოფლიო პანდემიებმა წინა პლანზე გადაინაცვლა. რა კავშირშია ეს პრობლემა გლობალიზაციასთან? პასუხი ერთია- თანამედროვე საზღვრების გახსნილობის დონე წარმოშობს მეტ რისკებს, რომელიც უკვე სცდება ქვეყნის ფარგლებს, ანუ არ არის მოცემულ ქვეყანაზე დამოკიდებული და მისი გადაწყვეტის გზებიც ერთობლივად უნდა გადაიჭრას; ამავე დროს, ეკონომიკის ციკლური განვითარების გარდაუვალობის გათვალისწინებით, რომელთა მიზეზი არც ისე იშვიათად, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებია, ნებისმიერი ქვეყანა, როგორც მისი ნაწილი, მზად უნდა იყოს ამისთვის; პრაქტიკმ გვიჩვენა, რომ კრიზისის სათავე არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ სხვა სფეროშია; შესაბამისად, თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არაეკონომიკური ტიპის კრიზისული საფრთხეების გადასაჭრელად უნდა იყოს მოქნილი;

ჩვენთვის ცნობილი ეკონომიკური კრიზისების თეორია პასუხს გვამღევს არაერთ აპრობირებულ ანტიკრიზისულ პოლიტიკაზე, მაგრამ დროა უფრო სერიოზულად დავფიქრდეთ არაეკონომიკის წიაღიდან წარმოშობილ პრობლემებზე, ასეთია სწორედ თანამედროვე პანდემიები, რომლებმაც ესოდენ გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში არ იცის საზღვრები და ბუნებრივია, ყველა ქვეყნის ძალისხმევით ერთობლივად უნდა გადაიჭრას; რაც უფრო მეტია მსოფლიო ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, მით უფრო აუცილებელი ხდება გლობალური

პანდემიების ეპოქის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის პრინციპების შემუშავება;

დღეისათვის კორონავირუსის პანდემია ეკონომიკური პოლიტიკის უმწვავესი გამოწვევა გახდა, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო; აშკარად შესამჩნევია თვისებრივად ახალი ტიპის კრიზისის ნიშნები, რომელიც განსხვავებულია კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან, თუმცა შედეგების თვალსაზრისით ბევრი რამ აქვს საერთო; დღევანდელმა კრიზისულმა მოვლენებმა დაგვაფიქრა, რომ მსგავსი საფრთხეებისგან არც არასდროს ვართ დაზღვეულები, უფრო მეტიც, მსოფლიოს მომავალი განვითარება ესოდენ მოხშირებულ ეკოლოგიურ კატაკლიზმებთან ერთად სწორედ პანდემიების ფონზეც გვესახება; მით უმეტეს, მეცნიერების განვითარება მიდის იმ დონემდე, რომ ძნელია მსოფლიო მასშტაბით არეგულირო მისი მიღწევების გამოყენების კეთილსინდისიერება, რაც ყველაზე უარეს შემთხვევაში ბიოლოგიური იარაღის შექმნასა და გამოყენებაში გამოიხატება; თუ ამას პირობითად გამოვრიცხავთ, მაინც რჩება დიდი ადგილი მეცნიერების მიღწევების რეალიზაციაში შედომებისა და ნაკლებად გააზრებული მოქმედებებისთვის; ასეა თუ ისე, ეკონომიკურ მეცნიერებას სცდება მისი მიზნების კვლევა, უნდა ვიმსჯელოთ იმით, რაც სახეზეა - გლობალური მსოფლიო პანდემიის შედეგებით.

სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ეკონომიკა და სოციალური სფერო განუყოფელია ერთმანეთისგან. ტრადიციულად, ეკონომიკურ თეორიაში განიხილებოდა კრიზისების გავლენა სიკვდილიანობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე; დღეს კი პირიქით, საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობამ და შესაბამისად, მისი დაცვისკენ მიმართულმა პოლიტიკამ გამოიწვია კრიზისული მოვლენები ეკონომიკურ ცხოვრებაში; ვირუსის გავრცელების მასშტაბების გამო მეცნიერების ის აღიარეს ამავე დროს, ეკონომიკური ხასიათის პანდემიადაც. „დღეს მსოფლიოს მხოლოდ ერთი არჩევანი აქვს და ეს არის მეცნიერებაზე დამოკიდებულება!“ (11. <http://www.ft.lk/columns/A-real-virus-has-gone-viral-Tale-of-Two-Curves/4-698377>); მეცნიერება და კვლევა ყოველთვის

იყო და არის საზოგადოების განვითარებისა და გადარჩენის საიმედო გზა; ასეა ამჯერადაც; მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მეცნიერებმა არა მხოლოდ ეპიდემიოლოგიის, არამედ ეკონომიკის თეორიაში ინტენსიურად დაიწყეს პრობლემის შესწავლა; მოკლე პერიოდში მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ათეულ ათასობით სამეცნიერო ნაშრომი; აშშ-ში ვაითჰაუსის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის ოფისმა შექმნა ინსტიტუტები;

ეკონომიკურ მეცნიერებაში გაჩნდა ტერმინი „კორონომიკა“, რაშიც აისახება ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენა; ტერმინი უკავშირდება შრილანკელი პროფესორის აჯით დე ალვისის სახელს; პანდემიის გაჩენის პირველივე თვეებიდან ვირუსის კვლევისა და ინფორმაციის გაზიარებისთვის პერიოდულად ქვეყნდება მისი სტატიები „Daily Financial Times (Daily FT)“ - ში, 2020 წლის თებერვალში, მარტში და აპრილში „გაზეთის სვეტის სტატიების სახით“; კორონავირუსის გავლენა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკაზე უდიდეს კვლევასა და ანალიზს საჭიროებს; მართალია, ჯერ კიდევ არ გასულა საკმარისი დრო იმისთვის, რომ ბოლომდე იქნეს გაანალიზებული პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე; თუმცა, შეიძლება შეფასდეს მოსალოდნელი საფრთხეები, გამოიკვეთოს ახალი გამოწვევები, მომავალი რისკების თავიდან აცილების გზები;

მსოფლოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, გაიზარდა კვლევების ინტენსივობა ეპიდემიის გამოწვევების მოსაგვარებლად. „კორონომიკასთან“ დაკავშირებით განსაკუთრებით გამოვყოფდით პროფესორ ვლ. პაპავას კვლევებსა და რეკომენდაციებს, მარიამ ბერიძის, მიხეილ ჭკუასელის და სხვ. მოსაზრებებს; ამავე დროს, დღეს განსაკუთრებით ეკონომიკისა და სამედიცინო დარგის მეცნიერებების კვლევა ურთიერთშემავსებელია ადამიანთა ცხოვრებაზე შედეგობრივი ზეგავლენის თვალსაზრისით; ისე როგორც არასდროს, ისინი ერთად დგანან საზოგადოების მტერთან COVID-19-თან ბრძოლაში; მედიცინის მეცნიერების მიერ „უხილავი მტრის“ აღმოჩენა, მისი თვისებრივი და რაოდენობრივი

მახასიათებლების სწორი იდენტიფიცირება არის დასაყრდენი ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების გამოსავლენად, პრაქტიკული ნაბიჯების დასაგეგმად. მედიცინა, როგორც მეცნიერება, გვეხმარება უხილავი „მტრის გაგებაში“, რაც ყოველთვის არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ნებისმიერი ომის ბრძოლაში”; / 8. <http://www.ft.lk/columns/COVID-19-Science-will-triumph-But-its-ability-needs-to-be-understood/4-697724/> ; ამასთანავე კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ორივე მეცნიერებას სხვადასხვა ასპექტით, თავისი შესწავლის ობიექტის ფარგლებში, ერთი მიზანი აერთიანებს - ადამიანთა კეთილდღეობა; ადამიანის კეთილდღეობა, რაც ძირითადად მისი ჯანმრთელობითაა მიღწევადი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მიზანი უნდა იყოს;

მსოფლიო ბევრჯერ ყოფილა მსგავსი პანდემიების წინაშე; მეოცე საუკუნის დააწყისში ე.წ. ესპანურმა გრიპმა 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დაგვანახა, რომ მას მეტი ზიანის მიყენება შეუძლია კაცობრიობისთვის, ვიდრე პოლიტიკურ ომს. მსოფლიო პერიოდულად იყო მომსწრე მსგავსი პანდემიების; თავისი დიდი მასშტაბებით გამოირჩეოდა SARS- ის პერიოდი; არაერთხელ დაფიქსირებულა ფრინველისა თუ ღორის გრიპის შემთხვევები და სხვ; ისტორიულად, თუ წინა საუკუნეში ვირუსი შედარებით ნელა ვრცელდებოდა, საფრთხის გაზრდა დაუკავშირდა საზღვრების გახსნილობას, საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბების ზრდას; ამავე დროს, თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო პანდემიების შედეგებს, ვნახავთ, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ეკონომიკაზე და საერთოდ, საზოგადოების ცხოვრებაზე მათი ნეგატიური გავლენის სიმწვავე სულ უფრო მცირდებოდა; ამდენად კაცობრიობისთვის ერთადერთი იმედი ისევ და ისევ მეცნიერება და ტექნიკაა!

თუმცა, თავისთავად მეცნიერება და ტექნოლოგიები ვერ შეამცირებს პანდემიების ზემოქმედებას ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე, რომ არა სახელმწიფოს მიზანმიმართული რეგულირება ისეთი ბერკეტების საშუალებით,

რომელიც არ გააჩნია თავისთავად ბაზარს. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით თანამედროვე რისკების სამყაროში ეკონომიკაში სახელმწიფოს გონივრული ჩარევის როლისა და მნიშვნელობის აუცილებლობაში; სახელმწიფომ უნდა გაიზარდოს ეკონომიკის რეგულირება სოციალური, ფისკალური, სავალუტო, საგარეო ეკონომიკური და სხვა პოლიტიკის მექანიზმებით; ეკონომიკა პანდემიით გამოწვეული შოკების გავლენის შესამსუბუქებლად მოითხოვს რეგულირების მეტ ასპექტს; რეგულირების მიმართულებები მრავალმხრივია. ესაა სტიმულირების პაკეტი, საგადასახადო შეღავათები, კომპანიების სუბსიდირება დასაქმების შენარჩუნებისთვის და სხვ.

მსოფლიოს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია როგორც თვით პანდემიის, ისე მისგან გამოწვეული კრიზისის დაძლევისკენ; ერთი შეხედვით დგება არჩევანი - პოლიტიკა უპირატესად ორიენტირებული იყოს მოსახლეობის ფიზიკურ გადარჩენაზე, თუ ეკონომიკის გადარჩენაზე; თუმცა, ეს მხოლოდ პირობითია, პრაქტიკულად კი არჩევანი არ არსებობს. ის თავიდანვე ცალსახაა, რამდენადაც ადამიანი, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არის სწორედ ეკონომიკის საბოლოო მიზანი; ფიზიკური გადარჩენის შემდეგ კი ჩნდება სხვა მოთხოვნილებები;

მსოფლიო პანდემიების ისტორია მოწმობს, რომ კრიზისული სიტუაცია წარმატებით გადალახეს იმ ქვეყნებმა, რომლებმაც უპირატესად მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის ღონისძიებები გაატარეს; ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკა ასეთი პირობების დროს ეძებს ოქროს შუალედს ეკონომიკის გადარჩენასა და ადამიანთა ფიზიკურ გადარჩენას შორის; პანდემიასთან ბრძოლის გზები, რომელიც უკავშირდება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს გაჩერებას, ბუნებრივია, ვერ ვერ იქნება ზარალის გარეშე, რომელიც უნდა შეეწიროს ადამიანთა ფიზიკურ გადარჩენას; ეს მოკლევადიანი ღონისძიება გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკაში უფრო სერიოზულ ზარალს აგვარიდებს თავიდან; სწორედ ეკონომიკურმა

პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს მოკლევადიან პერიოდში რა დათმოს რა დოზით - ეკონომიკა და ბიზნესი, თუ - ადამიანთა სიცოცხლე.

ეპიდემიის პირობებში დაიხურა კომპანიები, შემცირდა სამუშაო ადგილები, გაიზარდა უმუშევრობა, განსაკუთრებით, მომსახურების სფეროდან მილიონობით ადამიანი შეუერთდა უმუშევართა არმიას. მიწოდების შემცირებამ კი გამოიწვია ფასების ზრდა; დაეცა მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა; საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახა ასევე უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შეზღუდვა, რომლის მასშტაბებითაც ქვეყანა გამოირჩეოდა. თუმცა ქვეყანაში პანდემიური კრიზისის არც ისე დიდი პერიოდის რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა, რაც საშუალებას მოგვცემს ეკონომიკურმა პოლიტიკამ უკეთ უპასუხოს მსგავს გამოწვევებს; შესაბამისად, სწორად იქნა განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები; ეკონომიკის სტიმულირების მიზნით დაფინანსდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთანაც დაკავშირებული სამუშაოები შესაძლებელი იყო შესაბამისი ყოფილიყო პანდემიის პირობებში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებთან; დაფინანსებული პროექტები ემსახურებოდა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გაზრდას თუ შენარჩუნებას; გაგრძელდა სოფლის მეურნეობისა და ფერმერთა მხარდაჭერის პროექტები; იმპორტი ჩაანაცვლა ზოგიერთი პირველადი სასიცოცხლო საქონლის მიწოდებამ;

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს ტურიზმს; უკვე აშკარაა, რომ პანდემიის შედეგებმა ყველაზე უფრო დააზარალა ტურისტული ქვეყნები, რამდენადაც ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ქვეყნებს შორის გადაადგილების შეზღუდვა; ეს განსაკუთრებით მწვავედ შეეხო საქართველოსაც. ყოველწლიურად იზრდებოდა ქვეყანაში ვიზიტორების რიცხვი და ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2010 წლიდან 2020 წლის პანდემიამდე

აშკარა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, კერძოდ - 1370 მლნ.ლარიდან 3527 მლნ ლარამდე გაიზარდა; ამავე დროს, თუ საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტებმა 2019 წლის ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა - 8 020230, 2020 წლის იგივე თვის მონაცემებით ის შემცირდა 1 649547 მლნ -მდე; /7. gnta.ge/. ტურიზმის ეროვნული სამსახური / შესაბამისად, პანდემიამდე საქართველოში ტურიზმი დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორი იყო; „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის“ თანახმად, 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 71,574 ადამიანი შეადგინა, რაც 6,5 %-ით მეტია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით“ / 6. mis.gov.ge /.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მოსახურების სფერო ძალზე მნიშვნელოვანი და მასშტაბურია, უკვე მსოფლიო სერიოზულად დაფიქრდა ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიცირებაზე; ის ძირითადად მომსახურების სფეროზე ორიენტირებული ვერ იქნება, ეს ეხება პირველ რიგში ტურიზმს; განვითარება ქვეყნისთვის უფრო მდგრადია, თუ ის ეყრდნობა ეკონომიკის პირველად და მეორეული სექტორების განვითარებას; ვირუსისგან ერთ-ერთი გაკვეთილია წარმოების მნიშვნელობის სწორი გაგების გადააზრება;

ტურიზმთან ერთად ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული განვითარება, რომელშიც იქმნება მხოლოდ მშპ-ს 9%. სოფლის მეურნეობა, რომლის პროდუქტიც პანდემიის პირობებში მოთხოვნის ძირითადი ობიექტია, სტრატეგიულ პრიორიტეტად უდა იქცეს; ეს ის დარგია, რომელზეც მოთხოვნა არსებობს როგორც კრიზისის, ისე პოსტკრიზისულ პერიოდში; შემდეგ კი მაზე უნდა იქნეს დაშენებული ტურიზმის სექტორი;

ამდენად, პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა საჭიროა რისკების დივერსიფიკაციაზე მეტად დაფიქრების აუცილებლობა, როგორც ვრწმუნდებით, ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაცია რისკების მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყნის

ეკონომიკისთვის არასაიმედოა; რისკების დივერსიფიკაციის მიზნით, საჭიროა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესაბამისი მოდიფიკაცია და ამ მიმართულებით მისი გადახედვა; მართალია, მსოფლიო ეკონომიკაში სულაც არ არის აუცილებელი ყველა ქვეყანა აწარმოებდეს ყველაფერს, რაც სჭირდება, თუმცა, დარგობრივი სპეციალიზაცია შედარებით უპირატესობას და თანამედროვე რისკების გააზრებას უნდა დაუფუძნოს; ბევრი დაფიქრდა, რომ „კვერცხების უმეტესი ნაწილი მხოლოდ რამდენიმე კალათაში“ არ იძლევა მყარი ზრდის გარანტიას; „სწორხაზოვანმა ეკონომიკამ შეიძლება შექმნას დომინოს ეფექტების სერია, რომელთა მონელება საკმაოდ რთული იქნება“ ; ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა არ უნდა იყოს იმაზე დამოკიდებული, წვიმები თუ დროულად მოვა, ან თუ ტურისტი მოვა მიიღებს გაცილებით მეტ მშპ-ს; დღეს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციაა ის, რომ ყველგან ვხვდებით „სხვაგან დამზადებულს“; მაგრამ ეს ხშირად ნორმად იქცა ეკონომიკური სექტორების უმეტეს ნაწილში; პანდემიის დროს აუცილებელი ნიღაბიც კი იმპორტზე იყო დამოკიდებული; /5. აჯით დე ალვისი; [Coronomics-Plan-your-eggs-and-the-basket/](#).

გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის ექსპორტზე ორიენტაცია იძლევა სიმშვიდის საშუალებას კრიზისულ სიტუაციებში; სამწუხაროდ, სამომხმარებლო ბაზრის უდუდესი ნაწილი საქართველოში ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული; მშპ-ს დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე; 2019 წელთან შედარებით შემცირდა ექსპორტი 324,0 მლნ აშშ დოლარიდან, 254,1 მლნ აშშ დოლარამდე; იმპორტი კი 812,0 აშშ დოლარიდან 696,0 მლნ აშშ დოლარამდე; ვაჭრობის შეზღუდვით, ბუნებრივია შემცირდა მოთხოვნა ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე; /9. [www.geostat.ge/ka/](#).

ასევე პანდემიასთან დაკავშირებულ პანიკას შეუძლია საგრძნობლად გაზარდოს ისედაც არსებული ეკონომიკური ზარალი; გაზარდოს მოთხოვნა პანდემიის საწყის ეტაპზე, შექმნას დეფიციტი, გააღრმავოს ინფლაცია და ა.შ. თუმცა, უფრო დიდ პერიოდში ის ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაში აისახება; გამოსავალი ამ

კრიზისული მდგომარეობიდან დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე, პანდემიით გამოწვეული აუცილებელი შეზღუდვების სწორ რეგულაციაზე;

ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა კორონომიკის პირობებში ეს არის დისტანციური მუშაობა და დისტანციური სწავლება. საქართველოშიც, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მუშაობის ეს მეთოდი არც ისე უცხოა; თუმცა, გამოწვევამ საჭირო გახადა დისტანციური მუშაობის უზრუნველსაყოფად ბევრი კომპანიისთვის დამატებით ორგანიზაციული ცვლილებების გატარება; თუ ადრეც მუშაობისა და სწავლების პროცესში ხდებოდა მეტ-ნაკლებად ამ მეთოდის გამოყენება, ამჯერად უფრო მასობრივი გახდა და დახვეწა მოითხოვა; თუმცა, მასაც აქვს დადებითი მხარეები: ხშირად დისტანციური მუშაობა უფრო ამარტივებს და მოგებიანს ხდის ადამიანთა საქმიანობას; მათ ეზოგებათ სამსახურამდე მისვლის დრო და თანხები; აქვთ მუშაობის უფრო მოქნილი გრაფიკი; ის ხელსაყრელია იმათთვის, ვისაც სწავლის პარალელურად უწევს მუშაობა და სხვ. /3. ბერიძე. 2020. კორონავირუსის შედეგად წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობები ბიზნესში/; იმდენად, რამდენადაც განათლება არის აღზრდისა და სწავლების ერთიანობა, მისი დისტანციური ფორმა მხოლოდ გარკვეული პერიოდის გარდაუვალი აუცილებლობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ხარისხი საგრძნობლად ეცემა.

ამრიგად, ესოდენ გლობალიზებულ და გაურკვევლობების მსოფლიოში ნებისმიერი პანდემია არის რისკი, რომელსაც ვერ მოვსპობთ, თუმცა, შეიძლება ცალკეული ქვეყნების შესაძლებლობების ფარგლებში მისი პრევენცია ან შემდეგ უკვე ნეგატიური შედეგების შემსუბუქებას; ეკონომიკური პოლიტიკა ცალკეულ ქვეყნებში ითვალისწინებდეს ასევე გლობალური პანდემიებისგან ერთგვარი დაზღვევის პოლიტიკასაც; მსოფლიო დარწმუნდა, რომ კორონავირუსი გახდა ეკონომიკური პოლიტიკის უმწვავესი გამოწვევა, რომ მსოფლიო ისე, როგორც არასდროს, დღეს უფრო ერთიანია საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და რეცეპტებიც ამ პოლიტიკის შემუშავებისთვის ძირითადად მსგავსია; მუდმივად გადახედვას

საჭიროებს საკითხიც ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის, მისი ჩარევის ზომის, მასშტაბების, ფორმების შესახებ, რომელმაც არ უნდა დააზინოს საბაზრო მექანიზმი, პირიქით, ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას და ორიენტაციას მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობისკენ;

და რა რაც მთავარია, ეკონომიკის მიზანი არის ადამიანის კეთილდღეობა, ხოლო ეს უკანასკნელი განუყოფელია ჯანმრთელობისგან, ამდენად, ჯანდაცვა არის გარდაუვალი საშუალება იმისათვის, რომ ეკონომიკის მიზანი იქნეს რეალიზებული; შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია ჯანდაცვის პოლიტიკა, რომელმაც ზოგადად თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ჯანმრთელი საზოგადოებისთვის ზრუნვაზე, მის მასობრივ ხელმისაწვდომობაზე, ამ შემთხვევაში ადამიანური მსხვერპლიც ნაკლები იქნება ეპიდემიების შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტწყაროები:

ვლ. პაპავა. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე;
<https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html/>

„ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა“
ვლ. პაპავა, ვახტანგ ჭარაია; ექსპერტის აზრი 136 ; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი.

მარიამ ბერიძე, „კორონავირუსის შედეგად წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობები ბიზნესში“, ინოვაციური ეკონომიკა და მართვა. ტ.7. № 2 2020.
DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.2.2020.26-35>

კორონომიკა-კორონანომიკა-მედიცინის მძევალი ეკონომიკა; „კომერსანტი“
მიხეილ ჭყასელის პერსონალური ბლოგი/ access_time2020-03-26 20:00:30
<https://commersant.ge/>

აჯით დე ალვისი; /Coronomics-Plan-your-eggs-and-the-basket/4-695109 Thursday,
6 February 2020 00:00

„ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა
კვლევა”/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018 წ.
ანგარიში/ mis.gov.ge/

<https://gnta.ge/ge/> ტურიზმის ეროვნული სამსახური

[/https://www.geostat.ge/ka](https://www.geostat.ge/ka)

<http://www.ft.lk> COVID-19-Science-will-triumph-But-its-ability-needs-to-be-
understood/4-697724/ ;

<http://www.ft.lk/A-visible-lesson-from-an-invisible-virus-Serendib-to-rethink/4-699111>; Thursday, 23 April 2020 00:00

<http://www.ft.lk/columns/A-real-virus-has-gone-viral-Tale-of-Two-Curves/4-698377>;